



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია

რექტორის ბრძანებით N 01-01/84

27.11.2017 წ.

დიდაქტიკური კონცეფცია
გზამკვლევი

შინაარსი

შესავალი

1. საგანმანათლებლო საქმიანობის მიზანი;
2. საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება;
3. საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის ფორმები და მეთოდები;
 - 3.1. სწავლებისა და სწავლის ფორმები
 - 3.2. სწავლებისა და სწავლის მეთოდები
 - 3.3. სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგები
4. შეფასება;
 - 4.1. შეფასების მიზნები
 - 4.2. შეფასების ძირითადი პრინციპები
 - 4.3. შეფასების მეთოდები
 - 4.4. შეფასების კრიტერიუმები
5. შეფასების ძირითადი მეთოდები და კრიტერიუმები ;
6. სტუდენტთა პერსონალური განვითარების თვითშეფასება;
7. უკუკავშირი.

შესავალი

რა მიზნით ვასწავლით, რას ვასწავლით და როგორ ვასწავლით ?

წინამდებარე დოკუმენტში განხილულია დიდაქტიკურ ხედვები, პრინციპები და მეთოდები (ზოგად და კერძო დიდაქტიკურ კონცეფციებს), როგორც სასწავლო პროცესის წარმართვის, ფუნქციონირებისა და განვითარების ლოგიკა, კანონზომიერება, კავშირურთიერთობა პედაგოგის საქმიანობასა (სწავლება) და სტუდენტის შემეცნებით საქმიანობას (სწავლას) შორის.

გთუნის დიდაქტიკური კონცეფცია შემუშავებულია კლასიკური და თანამედროვე დიდაქტიკური კონცეფციების საფუძველზე და მისი მიზანია სწავლების შინაარსის, მეთოდებისა და ორგანიზაციული ფორმების განსაზღვრა, დანერგვა და განვითარება ამ მიდგომათა შესაბამისად, რომელთაც საფუძვლად უდევს:

- სწავლების პროცესისადმი სისტემური მიდგომა;
- განმავითარებელი სწავლება;
- სტუდენტთა თვითშეგნება და შემოქმედებითი აქტივობა;
- თეორიული აზროვნების წარმოჩენა და განვითარება;
- სწავლების სისტემურობა და სისტემატურობა;
- სწავლების კავშირი პროფესიული საქმიანობის პრაქტიკასთან;
- სწავლების ჯგუფური ხასიათი;
- სწავლების კომპიუტერიზაცია;
- საგანთშორისი კავშირების გათვალისწინება;
- სწავლების ინოვაციურობა.

გთუნი-ს დიდაქტიკური კონცეფციის მიზანია საგანმანათლებლო საქმიანობისა და უშუალოდ სასწავლო პროცესის ორგანიზება მეთოდებით, რომლებიც აღმოფხვრიან წინააღმდეგობებს ტრადიციულსა და თანამედროვე უმაღლეს განათლებას შორის.

წინააღმდეგობის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ტრადიციული განათლება არასათანადოდ აფასებდა განათლების სუბიექტის წამყვან როლს, ანიჭებდა რა უპირატესობას ცოდნას და არა მის პროდუქტიულად გამოყენების უნარს.

ამ მიზნებიდან გამომდინარე, გაანალიზებულია უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო საქმიანობის მიზანი და მისი ორგანიზების გზები; საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის ფორმები და მეთოდები, რაც გულისხმობს სწავლებისა და სწავლის ფორმებსა და მეთოდებს; კავშირს სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის. დოკუმენტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შეფასებას, მის მნიშვნელობას და მიზნებს; რეკომენდაციებს შეფასების ძირითადი პრინციპების, მეთოდებისა და კრიტერიუმების თანამედროვე მიდგომების შესახებ.

კონცეფციაში განხილულია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები და კრიტერიუმები. მოცემულია რეკომენდაციები სტუდენტთა პერსონალური განვითარების თვითშეფასების შესახებ და გაანალიზებულია უკუკავშირის, როგორც წარმატების მიღწევის მექანიზმის მნიშვნელობა.

1. საგანმანათლებლო საქმიანობის მიზანი

გთუნი-ს საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნები ეფუძნება დაწესებულების მისიას, განვითარების სტრატეგიას და შემდეგ ექვს პოსტულატს:



თანამედროვე მძაფრი კონკურენციის პირობებში სტუდენტს სჭირდება ხარისხიანი პროფესიონალური ცოდნა, სწავლების მრავალფეროვანი ხერხები, ჩართულობა და ინტერაქცია, სწავლება-სწავლისათვის ხელსაყრელი, თანამედროვე გარემო და პერსონალური ყურადღება; მუდმივად განახლებადი ცოდნის ძიება და მისი მოპოვებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება და არა მზა ცოდნის ათვისება -დამახსოვრება;

კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების ახალი სისტემა ითხოვს კრეატიულ ტექნოლოგიებს, რაც გულისხმობს თითოეული სტუდენტის გარდაქმნას პასიური მსმენელიდან სასწავლო-შემოქმედებითი ქცევის დამოუკიდებელ სუბიექტად. თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი უნდა მოერგოს პროცესების მოთხოვნებს, საჭიროებებს და ხელს უნდა უწყობდეს პროცესების თვითრეალიზაციას.

2. საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება

საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებას გთუნი ახორციელებს ე.წ. დემინგის წრის/ციკლის მეთოდის გამოყენებით (PDCA) და გულისხმობს სწავლებისა და სწავლის ფორმების, სწავლებისა და სწავლის მეთოდების დაგეგმვას, განვითარებას, კონტროლს და სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირის მონიტორინგს.

გთუნი სწავლებისა და სწავლის პროცესში იყენებს:

- ლექციას;
- სემინარი, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობა;
- სასწავლო პრაქტიკა;
- დამოუკიდებელი სწავლა;
- საბაკალავრო / სამაგისტრო ნაშრომები;
- კონსულტაცია.

ლექცია: ლექცია შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის უმთავრესი მიზანია შესასწავლი დისციპლინის იდეის გახსნა. ლექციამ უნდა უზრუნველყოს შესასწავლი დისციპლინის ძირითადი ცნებების მეცნიერული და ლოგიკურად თანმიმდევრული გაცნობა. ლექციის იდეის წარმოჩენას, განვითარებასა და ლოგიკური დასკვნების გამოტანის პროცესს. ხელს უწყობს ფაქტების, მაგალითების, სქემების, ვიდეო-მასალის დემონსტრირება /ამასთან, მივიჩნევთ, რომ ლექცია არ უნდა იყოს მეტისმეტად გადატვირთული დეტალებით/.

საბაკალავრო დონეზე ლექციამ უნდა უზრუნველყოს მეცნიერების დიალექტიკური პროცესის მართებული ანალიზი და სტუდენტების მიერ ძირითადი სამეცნიერო პრობლემის გაცნობიერება.

სამაგისტრო დონეზე ლექციამ უნდა უზრუნველყოს მეცნიერების დიალექტიკური პროცესის კრიტიკული ანალიზი და სტუდენტების მიერ, მათი თავისუფალი აზროვნების ჩარჩოებში, სამეცნიერო პრობლემის სიღრმისეული გაცნობიერება. ლექციის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, მისი ჩატარების უფლება გამოცდილ და კვალიფიციურ ლექტორს ეკისრება, რომელმაც უნდა გაამახვილოს ყურადღება:

- მასალის გადაცემის თანმიმდევრობაზე;
- ლექციის სტილზე;
- აუდიტორიასთან კონტაქტზე.

ლექცია უნდა ჩატარდეს სტუდენტთა აქტიური მონაწილეობითა და ჩართულობით, რისთვისაც ლექტორი იყენებს აქტიურ და ინტერაქტიურ მეთოდებს.

სემინარი, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობა : ლექციის თეორიული მასალის ათვისება და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება ხდება სემინარის, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობების მეშვეობით. სწორედ ამ ტიპის მეცადინეობებზე იღრმავებს სტუდენტი ლექციაზე მიღებულ ცოდნას. ლექტორის ან პრაქტიკული მეცადინეობის წამყვანი პედაგოგის მითითებების საფუძველზე სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფი ამუშავებს დამატებით მასალას, ამზადებს პრეზენტაციას, ესეს, წერს ტესტს/ ქვიზს, ერთვება დისკუსია-დებატებში, მუშაობს ქეისზე.

სემინარზე- ისმენს მოხსენებას, ერთვება დისკუსიაში, გამოაქვს დასკვნები. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელი მიზანმიმართულად წარმართავს და კოორდინაციას უწევს ამ პროცესებს;

ლაბორატორიული მუშაობა - სტუდენტს აძლევს საშუალებას ჩაწვდეს თეორიას უშუალო პრაქტიკული ქმედებებით (LBD). ამ მიზნებს გთუნ-ში ემსახურება კრიმინალისტიკური ლაბორატორია, ტელე და რადიო სტუდიები, სასწავლო ბანკი, სასწავლო ტურისტულ სააგენტო, კონსალტინგური ცენტრი, სასამართლო კლინიკა, გაზეთის სასწავლო გამომცემლობა;

პრაქტიკულ მეცადინეობაზე - ხდება თეორიული მასალის გაღრმავება კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის გზით და შესაბამისად დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სასწავლო/პროფესიული პრაქტიკა: პრაქტიკა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეებზე, ემსახურება სწავლის პროცესში, სწავლების შესაბამისი საფეხურის მიზნებიდან გამომდინარე ცოდნის გაღრმავებასა და გამყარებას. ის ავითარებს თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. *(სასწავლო/პროფესიული პრაქტიკის ჩატარების წესი განსაზღვრულია გთუნ-ის მარეგულირებელ დოკუმენტებში).*

საბაკალავრო / სამაგისტრო ნაშრომები: საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომები გთუნ-ში სწავლის დამაგვირგვინებელი ეტაპია, რომლის მიზანია საგანამანათლებლო საფეხურისა და სპეციალობით განსაზღვრული შესაბამისი ცოდნისა და უნარების სისტემატიზება, კონკრეტული ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომმა უნდა გამოავლინოს სწავლების საფეხური შესაბამისი კვლევის მეთოდების ათვისებისა და დამოუკიდებელი მუშაობის ხარისხი. *(საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის მომზადების წესი და პროცედურები განსაზღვრულია გთუნ-ის მარეგულირებელ დოკუმენტებში).*

დამოუკიდებელი სწავლა: ლექციაზე მოსმენილი მასალა ცოდნის სისტემად სტუდენტს ჩამოუყალიბდება მის მიერ გაწეული დამოუკიდებელი მუშაობის შედეგად. დამოუკიდებელი სწავლა წარმოადგენს სტუდენტის დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიტიკური უნარის სტიმულირების ხერხს. დამოუკიდებელი საქმიანობის პროცესში ის ეცნობა და ამუშავებს სხვადასხვა წყაროებს, აგროვებს და მართავს ინფორმაციას, სწავლობს სხვადასხვა საკითხებს და ეჩვენა დასკვნების გამოტანასა და გაწყვეტილებების მიღებას.


კონსულტაცია/ტუტორიალი: კონსულტაცია ტარდება პედაგოგის ხელმძღვანელობით, არასალექციო საათებში და ხელს უწყობს სტუდენტის დამოუკიდებელი საქმიანობის ჩვევების გამომუშავებას. პედაგოგი ეხმარება სტუდენტს ლიტერატურის შერჩევაში, დამატებითი მასალის მოპოვებაში, პრობლემების გადაწყვეტაში, რომელიც დისციპლინის ათვისების პროცესში წარმოიშვა.

3. კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოდელი

კომპეტენციებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოდელი მოიცავს პროცესს საგანმანათლებლო პროგრამით გამიზნული კომპეტენციების წინასწარი განსაზღვრიდან, დამთავრებული სტუდენტის საბოლოო გამოვლენილი კომპეტენციების შეფასებით, რაც დასტურდება სტუდენტისა და მასწავლებლის განცხადებებით საგანმანათლებლო პროგრამის რეალურად ათვისების შესახებ.

ვინაიდან ლიტერატურაში ტერმინი „კომპეტენცია“ საკმაოდ ბუნდოვანია და მისი ერთიანი გააგება არ არსებობს, უფრო ფართოდ გამოიყენება ტერმინი „სწავლის შედეგები“ როდესაც აღიწერება სტუდენტის მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა იცოდეს, გაიგოს, გააცნობიეროს და რისი დემონსტრირება უნდა შეძლოს კურსის/მოდულის და პროგრამის დასრულების შემდეგ.

კომპეტენციებზე/სწავლის შედეგებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მოდელი



ა. კომპეტენციების/სწავლის შედეგების დაგეგმვის პროცესში გასათვალისწინებელია, რომ:

- კომპეტენციების ფორმულირება მოხდეს განზოგადების საშუალო ხარისხით და ეხებოდეს კონკრეტულ დარგს;
- გამოიკვეთოს კომპეტენციების კოგნიტური და პრაქტიკული ასპექტები;
- განისაზღვროს კომპეტენციის დონეები ორივე ასპექტისთვის;
- კომპეტენციები სწავლების საფეხურების შესაბამისად, უნდა სტრუქტურირდეს კომპეტენციის სფეროებად (მაგ. დარგობრივი, სამეცნიერო, პიროვნული, ეთიკური და ა.შ.) რაც დამოკიდებულია კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მის წამყვან თემატიკაზე;

ბ. კომპეტენციების გაზომვისა და შეფასებისთვის, როგორც წესი გროვდება სხვადასხვა ტიპის მონაცემები, კერძოდ: ობიექტური მონაცემები (მაგ. PISA ტესტი), არასტანდარტული მონაცემები და/ან თვითშეფასების მონაცემები. კომპეტენციების გაზომვისა და შეფასებისთვის გთუნი მიმართავს თვითშეფასების მონაცემების მოგროვებას (ანუ თვითშეფასების ანგარიშს), რისთვისაც იყენებს კითხვარს სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის, რაც მიგვაჩნია ადეკვატურ ინსტრუმენტად სტუდენტისა და მასწავლებლის შეხეულებებს გასაგებად. ამასთან ამ ტიპის გამოკითხვა შეასრულებს უკუკავშირის ფუნქციასაც.

ამდენად, სწავლის შედეგები:

- განსაზღვრავს მინიმალურ დამაკმაყოფილებელ სტანდარტს პროგრამის, მოდულის ან კურსის დასადგევად და მოთხოვნებს კრედიტის მისაღებად;
- სწავლის შედეგები ფოკუსირებულია სტუდენტის მიღწევაზე და არა ნასწავლის შინაარსზე;
- სწავლის შედეგები გვიჩვენებს თუ რისი დემონსტრირება შეუძლია სტუდენტს სასწავლო შეუძლია სტუდენტს სასწავლო აქტივობის დასრულების შემდეგ;

სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისათვის გთუნი იყენებს დეკლან კენედის პრაქტიკული სახელმძღვანელოს „სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა“. 2006 (თარგმნ. ლ.ბაქრაძე, 2014).

4. სწავლა-სწავლების მეთოდები

გთუნი თანამედროვე განათლებაზე ორიენტირებული სასწავლო დაწესებულებაა, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი ორგანიზებისათვის თავისი დიდაქტიკური კონცეფციის საფუძვლად მიიჩნევს:

კომპეტენციებზე დაფუძნებულ და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლებას და ამ პროცესის უზრუნველყოფას სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით;

სწავლა-სწავლების მეთოდებზე და მათ მრავალფეროვნებაზე დიდად არის დამოკიდებული სასწავლო პროცესის ხარისხი, პედაგოგისა და სტუდენტის ეფექტიანი საქმიანობა და საბოლოოდ, სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევის შესაძლებლობები. პედაგოგის მკვლევარების მიერ გაანალიზებულია ცუდი დიდაქტიკის მახასიათებლები, კერძოდ:

- პროცესის სუსტი ორგანიზაცია;
- ძალზე ბევრი ინფორმაცია;
- მასალის კომპლექსი, რომელიც არასათანადოდ არის განმარტებული;
- მოსაწყენი მასალა;

- დემონსტრირების ნაკლებობა;
- დროის არასათანადო მენეჯმენტი.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპი მიზნად ისახავს კომპეტენციების გამოუმუშავებას და არა მზა ცოდნის მიღებას, შესაბამისად გთუნი-ს მეთოდური ორიენტორია სწავლა-სწავლების აქტიური და ინტერაქტიური მეთოდების გამოყენება, რაც სტუდენტს აქცევს სწავლების რეალურ სუბიექტად.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს და აყალიბებს: ჯგუფში ადაპტირების უნარს; პირადი კონტაქტების დამყარებას, ინფორმაციის გაცვლას; ჯგუფის საქმიანობის გამო პასუხისმგებლობის სკუთარ თავზე აღებას; იდეების, პროექტების წამოწევისა და ფორმულირების უნარს; არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღების უნარს; შეცდომების გამეორების თავიდან აცილებას; საკუთარი მოსაზრებების ნათლად, მკაფიოდ, ლაკონურად ჩამოყალიბებას; მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების წინასწარი განჭვრეტის უნარს; საკუთარი საქმიანობისა და დროის ეფექტიანად მართვის უნარს.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ყველაზე ეფექტიან მეთოდად მივიჩნევთ **ინტერაქტიური** (ინგლ: *interaction* – ურთიერთქმედება) სწავლების მეთოდებს, რომელთა დანიშნულებაა სწავლება, როგორც შემეცნების ერთობლივი პროცესი, როდესაც ცოდნა მიიღწევა ერთობლივი საქმიანობით დიალოგის, პოლილოგის მეშვეობით. ეს მეთოდები განსხვავდება სწავლების ჩვეული მეთოდებისაგან, რომელიც ეფუძნებოდა პრინციპს თეორიიდან ➔ პრაქტიკისაკენ და აყალიბებს თეორიის გაცნობიერების ახალ გამოცდილებას მისი უშუალოდ სწავლის პროცესში გამოყენების გზით. ეს მეთოდები ხელს უწყობს:

- აღქმის, გააზრების, გაცნობიერებისა და ათვისების პროცესის ინტენსიფიკაციას;
- ცოდნის შემოქმედებითად გამოყენებას კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის პროცესში;
- აყალიბებს ნდობის ატმოსფეროს ლექტორსა და სტუდენტს შორის, ვინაიდან მეთოდის რეგულარული გამოყენების საფუძველზე სტუდენტი პროდუქტიულად ითვისებს მასალას, თამამად გამოთქვამს საკუთარ აზრს, არ აქვს შიში, რომ არასწორ პასუხს მოჰყვება ნეგატიური შეფასება;
- ზრდის პრობლემების გადაწყვეტაში ჩართვის მოტივაციას და აძლევს სტუდენტს შემდგომი დაკვირვების/კვლევის, კონკრეტული ქმედებების ემოციურ ბიძგს;
- აყალიბებს არაორდინარულად ფიქრის უნარს, პრობლემური სიტუაციის საკუთარი ხედვის, პრობლემათა გადაწყვეტის საკუთარი გზების ძიების მოთხოვნილებებს;
- მოქნილსა და ჰუმანურს ხდის ცოდნის ათვისებისა და მისი გამოყენების შეფასების/კონტროლის მექანიზმებს.

4.1. სწავლების ინტერაქტიული მეთოდები

ქვემოთ განვიხილავთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ ინტერაქტიურ ტექნოლოგიებს და აქვე აღვნიშნავთ, რომ ინტერაქტიული სწავლების ფორმები და მეთოდები უაღრესად მრავალფეროვანია, რომელთა შერჩევა, დამუშავება და გამოყენება ლექტორს შეუძლია აკადემიური თავისუფლების ფარგლებში თავისი შეხედულებისამებრ.

1. პრობლემაზე დაფუძნებული ლექცია - პედაგოგი ლექციის დასაწყისშივე აყალიბებს პრობლემურ სიტუაციას და რთავს სტუდენტებს მის ანალიზში. პრობლემურ სიტუაციაში არსებულ წინააღმდეგობებზე მსჯელობითა და მათი გადაწყვეტით სტუდენტები მივლენ იმ დასკვნებამდე, რომელიც პედაგოგს მათთვის უნდა მიეწოდებინა როგორც ახალი ცოდნა.

2. **ლექცია დაგეგმილი შეცდომებით (მაპროგოცირებელი ლექცია)** - ლექციის თემის გამოცხადების შემდეგ პედაგოგი ამცნობს სტუდენტებს, რომ ლექციის მსვლელობის დროს დაშვებული იქნება შინაარსობრივი, მეთოდური, ქცევითი და ამ სხვა სახის შეცდომათა გარკვეული რაოდენობა. ლექციის ბოლოს სტუდენტებმა უნდა ჩამოთვალონ დაშვებული შეცდომები.
3. **ლექცია-ვიზუალიზაცია** - ამ ტიპის ლექციის დროს ლექტორის მიერ მასალის გადაცემას თან ახლავს ვიზუალური ინფორმაცია (სლაიდ-შოუ, ვიდეო, სქემა, დიაგრამა, ცხრილი, რუკა და ა.შ.)
4. **ლექცია-პრეს-კონფერენცია** - ამ ტიპის ლექციის დროს ლექტორი თხოვს სტუდენტებს წერილობით დაუსვან 2-3 წუთის მანძილზე მათთვის საინტერესო კითხვები ლექციის თემასთან დაკავშირებით. შემდეგ პედაგოგი 5 წუთის მანძილზე ამ შეკითხვების შინაარსობრივ სისტემატიზებას ახდენს და იწყებს ლექციას, რომელშიც ჩართულია პასუხები დასმულ შეკითხვებზე.
5. **ლექცია-დიალოგი**- ამ ტიპის ლექციის დროს ლექტორის მიერ ლექციის შინაარსი გადაიცემა შეკითხვების სერიის მეშვეობით, რომელზეც სტუდენტებმა პასუხი უნდა გასცენ უშუალოდ ლექციის დროს.
6. **დისკუსია** (ლათ.*discussion*-განხილვა, გამოკვლევა) -ეს არის საჯარო განხილვა ან ცოდნის, მსჯელობის, იდეების, აზრების, არგუმენტების თავისუფალი, ვერბალური გაცვლა რაიმე პრობლემასთან, საკამათო საკითხთან დაკავშირებით. დისკუსიის დროს ხდება ურთიერთსაწინააღმდეგი აზრებისა და პოზიციების დაპირისპირება. დისკუსია უზრუნველყოფს ცოდნის აქტიურ, ღრმა და ინდივიდუალურ ათვისებას. მიუხედავად იმისა, რომ ლექცია ცოდნის გადაცემის ყველაზე "ეკონომიური" გზაა, დისკუსიას აქვს გაცილებით ხანგრძლივადიანი ეფექტი. აქტიური, მოტივირებული და ემოციური მსჯელობა, ოპონირება, არგუმენტირება სტუდენტს საშუალებას აძლევს გააზრებულად აითვისოს ცოდნა, მაგრამ ამავ დროს დააფიქროს თავის შეხედულებების გადახედვასა და ცოდნის განახლების აუცილებლობაზე. დისკუსია უკუკავშირის კარგი შესაძლებლობაა, ის უზრუნველყოფს გავიგოთ, თუ რამდენად სწორად ესმის ჯგუფს მსჯელობის საგანი.
7. **გონებრივი იერიში (brain-storming)**-დისკუსიის ყველაზე თავისუფალი ფორმაა და საშუალებას იძლევა საკითხის/ამოცანის განხილვის პროცესში სწრაფად ჩავრთოთ ჯგუფის ყველა წევრი. მათ უნდა გამოთქვან საკუთარი აზრები, რასაც ლექტორი აფასებს არაფორმალურად და მხოლოდ პოზიტიურად. შემდეგ, კრიტიკული ანალიზისა და შეფასების გზით ხდება გამოთქმული მოსაზრებების გენერაცია და სელექცია. შერჩეული მოსაზრებების საფუძველზე წყდება დასმული ამოცანა/საკითხი და/ან პრობლემა, რაშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს სტუდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ.
8. **ქეის-მეთოდი** (ლათ: "casus", ინგლ: „case“-შემთხვევა, მოვლენა) - მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ქეის-მეთოდი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც რთული სისტემა, რომელშიც ინტეგრირებულია შემეცნების სხვადასხვა მეთოდი. ქეის-ტექნოლოგიებს მიეკუთვნება:
 - სიტუაციური ანალიზის მეთოდი;
 - სიტუაციური ამოცანები და სავარჯიშოები;
 - კონკრეტული სიუატიის ანალიზი (case-study);
 - სიტუაციურ-როლური თამაშები.

ქეის-მეთოდის სტრუქტურა

მოდელირება	სიტუაციის მოდელის აგება
სისტემური ანალიზი	სიტუაციის სისტემური წარმოდგენა და ანალიზი
გონებრივი ექსპერიმენტი	სიტუაციის შესახებ ცოდნის მიღების ხერხი მისი გონებაში გარდაქმნის გზით
აღწერის მეთოდები	სიტუაციის აღწერა
პრობლემური მეთოდი	პრობლემის აღწერა, რომელიც მოცემულია სიტუაციის საფუძველში
კლასიფიკაციის მეთოდი	სიტუაციის მახასიათებლების სისტემატიზება
როლური თამაში	სიტუაციის მონაწილეთა ქცევის ვარიანტების წარმოდგენა
გონებრივი იერიში	სიტუაციასთან დაკავშირებული იდეების გენერირება
დისკუსია	მოსაზრებათა გაცვლა პრობლემასა და მის გადაწყვეტაზე

ანალიზისთვის შეიძლება სიტუაციის სხვადასხვა ტიპი იქნეს შეთავაზებული, მაგ.სიტუაცია-ილუსტრაცია, სიტუაცია-პრობლემა, სიტუაცია-შეფასება, სიტუაცია-სავარჯიშო, ცხადია, სიტუაცია უნდა შეესაბამებოდეს თეორიული კურსის შინაარსს.

პედაგოგის ფუნქცია: პედაგოგი ამზადებს კონკრეტული პრობლემური სიტუაციის მოდელს, რაც წარმოიქმნა სუბიექტის ორგანიზაციის, საზოგადოების და ა.შ. საქმიანობაში. ეს მოდელი წარმოადგენს სასწავლო მასალის პაკეტს -ქეისს (ტექსტი 2-3 გვერდიდან 40-მდე). ტექსტში უნდა იყოს წინააღმდეგობები (პრობლემური სიტუაცია, კონფლიქტი), რაც წარმოადგენს მსჯელობის საგანს. ძირითადმა კითხვებმა, რომელსაც პედაგოგი სვამს უნდა მიიპყროს სტუდენტთა ყურადღება, ხელს უწყობდეს აზრების მოწესრიგებასა და აქტიურ საქმიანობას. პედაგოგი აცნობს სტუდენტებს ქეისის ამოცანას და მასზე მუშაობის პირობებს, აძლევს გარკვეულ მიმართულებას იდეის განვითარებისათვის.

9. საქმიანი თამაშები -შეიძლება განისაზღვროს, როგორც იმიტაციის მეთოდი, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება გარკვეულ სიტუაციაში თამაშის მონაწილეთა მიერ დადგენილი წესებით. საქმიანი თამაშების ძირითადი მახასიათებლები განსხვავდება სხვა ინტერაქტიური ტექნოლოგიებისაგან, კერძოდ:

- ხდება ხელმძღვანელის და სპეციალისტების საქმიანობის პროცესის მოდელირება;
- მთელ ჯგუფს აქვს ერთი მიზანი;
- თამაშის მონაწილეებს შორის განაწილებულია როლები განსხვავებული ფუნქციებით;
- გადაწყვეტილებები მრავალალტერნატიულია

10. პროექტის მეთოდი -სწავლების მეთოდი, რომლის დროსაც სტუდენტები იძენენ ცოდნას და უნარებს პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების დროს. პროექტზე მუშაობის პროცესში გამოიყოფა რამდენიმე ეტაპი:

პროექტზე მუშაობის სტადია	ნაშრომის შინაარსი მოცემულ სტადიაზე	სტუდენტთა საქმიანობა	პედაგოგის საქმიანობა
მოსამზადებელი ეტაპი	პროექტის თემისა და მიზნის განსაზღვრა	მსჯელობენ პროექტის ობიექტსა და მიზანზე.	აცნობს საპროექტო მიდგომის არსს, ეხმარება მიზნის განსაზღვრაში.
დაგეგმვა	<ul style="list-style-type: none"> - ინფორმაციის წყაროების დაზუსტება მოგროვება და ანალიზის ხერხების განსაზღვრა. - შედეგების წარდგენის ხერხების დადგენა. - პროცედურების და მათი 	შეიმუშავენ მოქმედების გეგმას და აყალიბებენ ამოცანებს.	სთავაზობს იდეებს, გამოთქვამს მოსაზრებებს.
	<ul style="list-style-type: none"> - კრიტერიუმების დადგენა. - გუნდის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება 		
გამოკვლევა	ინფორმაციის მოგროვება, შუალედური ამოცანების გადაწყვეტა. ძირითადი ინსტრუმენტები, ინტერვიუ, გამოკითხვა, დაკვირვება	ატარებენ კვლევას და წყვეტენ შუალედურ ამოცანებს	აკვირდება, ურჩევს, ირიბად ხელმძღვანელობს გუნდის საქმიანობას..
შედეგები და/ან დასკვნები	ინფორმაციის ანალიზი, დასკვნების ფორმულირება	აანალიზებენ ინფორმაციას	აკვირდება, ურჩევს
ანგარიში წარდგენა	ანგარიშის სავარაუდო ფორმები: ზეპირი, წერილობითი, მასალის დემონსტრაცია	წარადგენენ ანგარიშს, მსჯელობენ	უსმენს, სვამს რელევანტურ კითხვებს, როგორც რიგითი მსმენელი.
შედეგებისა და პროცესის შეფასება		მონაწილეობენ შეფასებაში	აფასებს მონაწილეთა ძალისხმევას, კრეატიულობას

11. **თანამშრომლობითი (collaborative) სწავლება** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
12. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. სტუდენტები აგებენ „პრობლემების ხეს“, ახდენენ ძირითადი და მეორეხარისხოვანი პრობლემების სელექციას და სახავენ პრობლემის გადაჭრის გზებს, რომლის საილუსტრაციოდ ასევე აგებენ „მიზნების ხეს“, ახდენენ ძირითადი და მეორეხარისხოვანი მიზნების გამოკვეთას.
13. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD)** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

14. **ელექტრონული სწავლება (E-learning)** – პროგრამის განხორციელებისას ეს მეთოდი გამოიყენება არა როგორც კლასიკურად გაგებული დისტანციური სწავლების მეთოდი, არამედ, როგორც დასწრებული სწავლების დამხმარე მეთოდი, როდესაც ხდება ელექტრონული რესურსების, თემების, ქვისების და სხვა მასალის გაცვლა სტუდენტსა და ლექტორს შორის, კონსულტაციები და სხვა.

15. **მენტალური რუკის მეთოდი (Mind Mapping)** – გულისხმობს ერთი პრობლემის, გრაფიკულ და/ან სქემატური რუკის შედგენას, სადაც გამოიკვეთება მისი ცენტრალური იდეა, მასთან დაკავშირებული მთავარი იდეები, თანხლები და საილუსტრაციო მასალა, რის მიხედვითაც სტუდენტი შეძლებს ძირითადი პრობლემის დეტალურ დამუშავებას.

****შენიშვნა:** სტუდენტების პერსონალური განვითარებისათვის ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს VARK (Visual-Aural-Read/Write –Kinesthetic) მეთოდი, რომლის გამოყენებითაც სტუდენტი ადგენს, თუ სწავლის რომელ მეთოდს ანიჭებს ის უპირატესობას და შესაბამისად გეგმავს პერსონალური განვითარების სტრატეგიას.*

4.2. სწავლების კლასიკური მეთოდები

1. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** (ლათ.; **Inductio**: აზროვნების მეთოდი - კერძო ფაქტებიდან, ცალკეული დებულებებიდან ზოგადი დასკვნის გამოყვანა), განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კონკრეტული ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ;
- სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;
- სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

2. **ვერბალური ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადაცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში;

3. **წერითი მუშაობის მეთოდი** - გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: რეფერატის, ან ესეს შესრულება, ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტებას, თეზისების შედგენას, და ა.შ.

4. **ვერისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

5. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის

აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩინოს საკითხის/პრობლემის არსს.

6. **კვლევის მეთოდი-სტუდენტი** ერთვება კვლევის პროცესში პედაგოგის ხელმძღვანელობით, განსაზღვრავს კვლევის საგანს, ობიექტს, მეთოდებს (თვისებრივი, რაოდენობრივი, მარკეტინგული, სტატისტიკური, ეკონომიკური, შედარებითი ანალიზის მეთოდები და/ან მათი კომბინაცია), ამუშავებს და ანალიზებს წყაროებს, შეიმუშავებს ხედვებს, მიდგომებს და აყალიბებს დასკვნებს;
7. **დამოუკიდებელი სწავლა-** თითოეული სტუდენტი დამოუკიდებლად მუშაობს ლექტორის მიერ დასახული ამოცანის გადასაწყვეტად და დავალების შესრულების პროცესში პასუხისმგებელია საკუთარ თავთან და პედაგოგთან. დავალება წინასწარ დაგეგმილი კონკრეტულ დროისთვისაა შესასრულებელი და დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ დავალების ხარისხს, არამედ დროის მენეჯმენტსაც.

5. კავშირი სწავლა-სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის

სწავლის თითოეული შედეგისთვის უნდა არსებობდეს სწავლება-სწავლის შესაბამისი მეთოდი ამასთან არ არის აუცილებელი თითოეული შედეგისთვის ცალკე მეთოდის გამოყენება, ერთი მეთოდის გამოყენებით შეიძლება გაიზომოს რამდენიმე შედეგი.

რეკომენდაცია სწავლის შედეგების მისაღწევად გამოსაყენებელ მეთოდებთან დაკავშირებით:

სწავლის შედეგი	სწავლებისა და სწავლის მეთოდი
ცოდნა და გაცნობიერება	<p>ამ კომპეტენციის მისაღწევად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; - წიგნზე მუშაობა; - წერითი მუშაობა; - ვერბალური ახსნა-განმარტება - დემონსტრირება - შემთხვევის ანალიზი (Case study) - კვლევა - დამოუკიდებელი სწავლა - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - ელექტრონული სწავლება (E-learning) - გონებრივი იერიში (Brain storming)
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>ამ კომპეტენციის მისაღწევად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> - მენტალური რუკა (Mind Mapping) - ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD) - როლური და სიტუაციური თამაშები - შემთხვევის ანალიზი (Case study) - ელექტრონული სწავლება (E-learning) - გონებრივი იერიში (Brain storming)

	<ul style="list-style-type: none"> - ევრისტიკული მეთოდი - გუნდური (collaborative) მუშაობა - დისკუსია/დებატები - საველე მუშაობა
დასკვნის უნარი	<p>ამ კომპეტენციის მისაღწევად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> - კვლევა - ანალიზი/სინთეზი - შემთხვევის ანალიზი (Case study) - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
კომუნიკაციის უნარი	<p>ამ კომპეტენციის მისაღწევად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> - პრეზენტაციები (ზეპირი, Power Point და სხვა) - დისკუსია/დებატები - გუნდური მუშაობა - როლური და სიტუაციური თამაშები
სწავლის უნარი	<p>ამ კომპეტენციის მისაღწევად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ტუტორიალი - კვლევა - დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება; საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის მომზადება)
ღირებულებები	<p>ამ კომპეტენციის ფარგლებში დარგის მეთოდოლოგიური და ეთიკური საკითხების ასპექტები, დარგობრივი სფეროს სტანდარტები და ღირებულებები განიხილება ლექციების დროს. ამასთან მიზანშეწონილია შემდეგი მეთოდების გამოყენება:</p> <ul style="list-style-type: none"> - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - დისკუსია-დებატები, სადაც სტუდენტი შეძლებს წარმოაჩინოს ეთიკური ნორმების გაგებისა და არგუმენტაციის უნარ-ჩვევები

6. სტუდენტის მიღწევების შეფასება

სტუდენტის შეფასების მეთოდები დღემდე მეცნიერთა, მკვლევართა და პედაგოგთა დავის საგანია, თუმცა ყველა თანხმდება, რომ ის სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის შემადგენელი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

შეფასების მიზნები: შეფასება გვაჩვენებს სტუდენტის მიღწევების შესაბამისობას დასახულ შედეგებთან, სურათს მათი პროგრესისა და/ან რეგრესის, პრობლემების შესახებ, აგრეთვე იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რამდენად ეფექტიანია ის მეთოდიკა, რომელსაც იყენებს პედაგოგი.

შეფასებას განსხვავებული დატვირთვა აქვს სტუდენტთათვის, ლექტორთათვის და უნივერსიტეტისთვის.

შეფასების მნიშვნელობა სტუდენტთათვის: შეფასება ხელს უწყობს სასწავლო მასალის ათვისების სისტემატურობისა და რიტმულობის ორგანიზებას; იძლევა დისციპლინის ათვისების მდგომარეობის ყოველდღიური შეფასების შესაძლებლობას; ეხმარება სტუდენტს მთელი სემესტრის განმავლობაში შეიტანოს კორექტივები მიმდინარე დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციაში; შეფასება იძლევა თითოეული დისციპლინის/მოდულის ცოდნის თაობაზე შემაჯამებელი შედეგის პროგნოზირების საშუალებას.

შეფასების მნიშვნელობა ლექტორთათვის: შეფასება იძლევა კონკრეტული დისციპლინის სასწავლო პროცესის რაციონალურად დაგეგმვის შესაძლებლობას; არის თითოეული სტუდენტის მიერ შესასწავლი მასალის ათვისების ხარისხის კონტროლის შესაძლებლობა; შეფასების შედეგები ნათლად აჩვენებს ლექტორს, თუ რა კორექტივების დროული შეტანაა საჭირო სასწავლო პროცესის ორგანიზაციაში და მეთოდოლოგიაში; იძლევა თითოეული სტუდენტის ცოდნისა და უნარების დონის ობიექტური და მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას;

შეფასების მნიშვნელობა დეკანატებისა და კათედრებისთვის: შეფასება იძლევა სასწავლო პროცესის კონტროლის გაუმჯობესების შესაძლებლობას; შეფასება იძლევა სასწავლო პროცესის ორგანიზებაში ოპერატიული კორექტივების შეტანის შესაძლებლობას; შეფასების შედეგები იძლევა სტუდენტების წახალისების (სტიპენდიის დანიშვნა, ტრენინგებში ჩართვა, საზღვარგარეთ გაგზავნა, და სხვა) საშუალებას და ობიექტურ საფუძველებს.

6.1. შეფასების ძირითადი პრინციპები და მეთოდები

„სწავლის ყველა შედეგი უნდა იყოს შეფასებადი“ (Moon.J.,2002), შესაბამისად სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს მათი შეფასების შესაძლებლობა, ინსტრუმენტები და ტექნიკა, რათა გაიზომოს თუ რა დოზით მიაღწია სტუდენტმა დაგეგმილ შედეგებს.

შეფასების მიზნები უნდა განხორციელდეს სამართლიანობის პრინციპების დაცვით, ამასთან ECTS პირობებში, რომელიც წარმოადგენს დინამიური განათლების პროცესის მოსალოდნელი შედეგების პროცესუალური და შედეგობრივი კონტროლის საშუალებას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეფასების სისტემატურობას.

ამდენად შეფასება უნდა უყოს:

ს ა ნ დ ო, ვ ა ლ ი დ უ რ ი, ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი, გ ა მ ქ ვ ი რ ვ ა ლ ე და ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ი


შეფასება	იმ შემთხვევაში თუ :
სანდოა	<ul style="list-style-type: none"> - შესასრულებელი დავალება/საკითხები და ინსტრუქციები ნათლად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული; - მკაფიოდაა განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები; - შეფასების შედეგები იდენტურია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ, სად ან როდის აფასებს სტუდენტის მიერ ერთი და იმავე საკითხის ცოდნას. შეფასება სანდო იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: სხვადასხვა პედაგოგი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს და/ან ერთი პედაგოგი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს; - ლექტორი ფლობს სათანადო კვალიფიკაციასა და გამოცდილებას.
ვალიდურია	<ul style="list-style-type: none"> - ლექტორს ზუსტად აქვს განსაზღვრული შეფასების საგანი;

	- ლექტორი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად;
ობიექტურია	- შეფასების კრიტერიუმები მკაფიო და გაზომვადია; - შეფასების შედეგები არ არის დამოკიდებული შემფასებლის სუბიექტურ მოსაზრებებზე, მის პიროვნულ დამოკიდებულებებზე.
გამჭვირვალა	- შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი ყველა სტუდენტისთვის;

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეფასება უნდა იყოს სისტემატური და გეგმაზომიერი პროცესი, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს ყოველდღიურ მზაობას გამოავლინოს ცოდნა და უნარები, ამასთან განსაზღვროს საკუთარი შრომის ეფექტიანობა, ხოლო პედაგოგს – განახორციელოს მონიტორინგი სტუდენტის მიერ ცოდნა-უნარების შექმნისა და განვითარების პროცესზე.

შეფასების მეთოდები

შეფასება, როგორც სისტემატური და გეგმაზომიერი პროცესი, შემდეგი სქემის მიხედვით უნდა წარიმართოს:



ანუ:

1. რას ვაფასებთ?

უპირველეს ყოვლისა უნდა დაზუსტდეს, თუ რას ვაფასებთ (მაგალითად, ცოდნას, გაცნობიერებას, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, კომუნიკაციის უნარს, დასკვნის გამოტანის უნარს, ღირებულებებს ან რამდენიმეს ერთად);

2. როგორ ვაფასებთ?

შემდეგ უნდა განისაზღვროს მეთოდები, რომლებიც ყველაზე კარგად შეესაბამებიან ჩვენი შეფასების ობიექტსა და მიზანს, ანუ დადგინდეს თუ რა მეთოდით ვაფასებთ.

3. რა კრიტერიუმებით ვაფასებთ?

შეფასების საგნის/მიზნის განსაზღვრისა და შეფასების მეთოდების დადგენის შემდეგ უნდა შემუშავდეს კრიტერიუმები, რომელნიც ყველაზე კარგად მიესადაგებიან შეფასების ობიექტისა და მეთოდის სპეციფიკას;

4. როგორ ვზომავთ კრიტერიუმებს?

და ბოლოს უნდა განისაზღვროს ქულები, რომლებიც უზრუნველყოფენ კრიტერიუმების დაკმაყოფილების დონის/ხარისხის გაზომვადობას.

შეფასების კრიტერიუმები:

შეფასების კრიტერიუმი ეს არის შეფასების უმნიშვნელოვანესი პარამეტრი, რომლის მეშვეობით დგინდება შესაფასებელი საგნის/ობიექტის ობიექტური „წონა“. კრიტერიუმი არის განსჯისა და შეფასების საშუალება. განათლების სისტემაში შეფასების კრიტერიუმი გულისხმობს სასწავლო

პროცესში მიღებული ცოდნის დონის, ხარისხისა და ათვისებული მასალის მოცულობის დადგენას. სხვადასხვა სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმები, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია. შეუძლებელია მეთოდთა მრავალფეროვნებისათვის შეიქმნას უნიფიცირებული კრიტერიუმები, თუმცა გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი მახასიათებლები და მოთხოვნები, კერძოდ:

მოთხოვნები კრიტერიუმებისადმი:

1. კრიტერიუმი სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მახასიათებელი, საზომი და ინსტრუმენტი;
2. იქმნება სპეციფიკური მიზნებისათვის;
3. განსხვავებულია შეფასების საგნის, მეთოდის მიხედვით და ეფუძნება კურსის სპეციფიკას;
4. უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიოდ, რელევანტურად და ეხმარებოდეს სტუდენტს წინასწარ იცოდეს, თუ რისი წარმოჩინება ევალება მას;
5. მეთოდთა მრავალფეროვნებას უნდა შეესაბამებოდეს მრავალფეროვანი კრიტერიუმები;
6. უნდა იყოს გაზომვადი.

შეფასების თოთოეული მეთოდისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები სასურველია ჩამოყალიბდეს შეფასების სქემების სახით, რაც პედაგოგს აძლევს იმის საშუალებას, რომ სტუდენტის პასუხის ხარისხი შეაფასოს და გაზომოს რამდენიმე კრიტერიუმის საშუალებით.

აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, თითოეული ლექტორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს, ნათლად და მკაფიოდ აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებს და მათ შესაბამის ქულებს, რაც გაწერილი უნდა იყოს სილაბუსში.

7. შეფასების ძირითადი მეთოდები და მათი შესაბამისი კრიტერიუმები

ტესტი:

ცოდნის შემოწმებისა და შეფასებისათვის მრავალი სხვადასხვა საშუალება გამოიყენება. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარულია ტესტირება. კლასიკური განმარტებით, ცოდნის დონის შეფასების ტესტი, ესაა დავალებათა ერთობლიობა, რომელიც ორიენტირებულია სწავლების პროცესში სასწავლო მასალის ათვისების დონის შეფასებაზე. რადგანაც ტესტი ტესტური დავალებების, შეკითხვების ერთობლიობაა მეტად მნიშვნელოვანია, ის თუ როგორ არის ეს შეკითხვები შერჩეული. ხარისხიანი ტესტი შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს: უნდა იყოს ვალიდური, საიმედო და დიფერენცირებული. სხვა სიტყვებით, ტესტში შეკითხვები ისე უნდა იყოს ჩართული, რომ ის მორგებული იყოს გამოსაცდელ კონტინგენტზე, არ უნდა იყოს არც ძალიან რთული და არც მარტივი და უნდა იძლეოდეს სხვადასხვა დონის ცოდნის მქონე სტუდენტების დიფერენცირების შესაძლებლობას.

ტესტური დავალების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს:

- ცალსახა დავალებები - ტესტური დავალება არ უნდა იყოს ორაზროვანი;
 - ცალსახა პასუხები - გამორიცხული უნდა იყოს პასუხის სხვადასხვაგვარი ფორმულირება;
 - ნასწავლთან შესაბამისობა: ტესტში ჩართული არ უნდა იყოს ისეთი პასუხები, რომლის სისწორის დასაბუთებაც, ტესტირების მომენტისათვის, სტუდენტს არ შეეძლება;
 - არასწორი პასუხები უნდა იყოს სწორ პასუხთან მიახლოებული;
 - კითხვები არ უნდა იმეორებდეს სახელმძღვანელოში მოცემულ ფორმულირებებს;
- სწავლების მართვისა და ტესტირების სისტემა **Moodle** ტესტირების მეტად ეფექტური და მოქნილი სისტემაა. მისი მეშვეობით:

- შეიძლება შეიქმნას სტრუქტურირებული ტესტური დავალებების (შეკითხვების) ბანკი, საიდანაც შეკითხვების ტესტში ჩართვა შეიძლება მანუალურად ან ავტომატურად, შემთხვევითი წესით;
- შეიძლება ტესტირების პროცესისათვის დროის ლიმიტის დაწესება;
- შეიძლება როგორც ტესტში შეკითხვების თანმიმდევრობის გადანაცვლება, ასევე პასუხების თანმიმდევრობის შეცვლა ტესტურ დავალებაში;
- სტუდენტს ტესტირების გავლა შეუძლია ერთხელ ან მრავალჯერ. თუ სტუდენტი ტესტს რამდენჯერმე გაივლის შესაძლებელია შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება: სტუდენტის მიერ ტესტის შესრულების საბოლოო შეფასებად შესაძლებელია ჩაითვალოს საუკეთესო/უარესი შედეგი, ან მხოლოდ პირველი/საბოლოო მცდელობის შედეგი;
- თუ ტესტის გავლა ხდება რამდენჯერმე, მაშინ თითოეულ მცდელობას შორის შეიძლება დროის ინტერვალის მართვა (მაგ. ტესტის თავიდან გავლას სტუდენტი შეძლებს წინა მცდელობიდან 15 წუთის გასვლის შემდეგ);
- შესაძლებელია კომენტარებისა და უკუკავშირების დართვა თითოეული სწორი და/ან არასწორი პასუხისათვის.
- სისტემა აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას სხვადასხვა რეჟიმში დაათვალიეროს მიღებული შედეგები და კომენტარები. ასევე შეიძლება დროის იმ ინტერვალის მითითებაც, რომლის განმავლობაშიც მსურველს შეეძლება დაათვალიეროს მის მიერ შესრულებული ტესტი;

თუ შეკითხვების ბანკი საკმარისად დიდი და კარგად ორგანიზებულია, სისტემა ერთიდაიგივე ტესტის მრავალი ვარიანტის სწრაფად და მარტივად გენერირების შესაძლებლობას იძლევა.

ტესტური დავალებების ტიპები Moodle-ის გარემოში შესაძლებელია შემდეგი სახის ტესტური დავალებების შექმნა:

მრავალარჩევნიანი ტიპის ტესტი

ზემოთ ჩამოთვლილ ტიპებს შორის ყველაზე გავრცელებული ე.წ. მრავალარჩევნიანი შეკითხვაა. ხშირად ტესტს ამ ტიპის შეკითხვასთან აიგივებენ. მრავალარჩევნიანი შეკითხვა ისეთი ტესტური დავალებაა, რომელშიც მოცემულია ერთი შეკითხვა ორი ან მეტი სავარაუდო პასუხით და სტუდენტს მათგან ერთი ან მეტი პასუხის არჩევა შეუძლია. ამ ტიპის ტესტური დავალების შექმნა ყველა საგანში შეიძლება. მთავარია ზუსტად და ცალსახად იყოს ჩამოყალიბებული ტესტური დავალების შეკითხვა და სავარაუდო პასუხები. კარგ პრაქტიკად ითვლება სწორი, ასევე არასწორი პასუხისათვის, უკუკავშირების დართვა. ასეთი სახით შედგენილი ტესტური დავალება ცოდნის არა მხოლოდ შემოწმების, არამედ მისი ამაღლების ფუნქციასაც ითავსებს.

სისტემაში გათვალისწინებულია ტესტური დავალების შეკითხვაში სხვადასხვა ტიპის გრაფიკული გამოსახულების ჩართვის შესაძლებლობაც. სავარაუდო პასუხებიდან სწორი შეიძლება იყოს ერთი, ან რამდენიმე. აქედან გამომდინარე, ამ ტიპის შეკითხვა ორ ქვეტიპად შეიძლება დაყვით:

- შეკითხვა ერთი სწორი პასუხით;
- შეკითხვა რამდენიმე სწორი პასუხით.

რიცხვითი ტიპის ტესტი

შეკითხვა არის რიცხვითი ტიპის, თუ პასუხი არის კონკრეტული რიცხვი. ეს რიცხვი შეიძლება მიღებული იქნას გამოთვლების გარეშე ან გარკვეული მათემატიკური გამოთვლების შედეგად. შესაძლებელია პასუხისათვის ცდომილების ინტერვალის მითითება იმ შემთხვევებისათვის, როდესაც შეკითხვაზე პასუხი გარკვეული რიცხვითი დიაპაზონიდან შეიძლება იყოს.

მოკლე პასუხის ტიპის ტესტი

ასეთი ტიპის შეკითხვაზე პასუხი შეიძლება იყოს სიტყვა ან ფრაზა, რომელიც წინასწარგანსაზღვრულ მისაღებ პასუხთან ერთ-ერთს ზუსტად ემთხვევა. ამ ტიპის შეკითხვაზე სტუდენტმა უნდა გასცეს მოკლე პასუხი.

გამოთვლითი ტიპის ტესტი

გამოთვლითი ტიპის შეკითხვის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც გამოსაცდელი პირებისათვის ერთიდაიგივე მათემატიკური გამოსახულების სხვადასხვა ვარიანტის მიწოდება არის საჭირო. ცვლადები, რომელთაც ტესტირების პროცესში რიცხვების სხვადასხვა მნიშვნელობები ჩაენაცვლება, მოცემულ მათემატიკურ გამოსახულებაში ფიგურულ ფრჩხილებში უნდა იყოს მოქცეული.

შესაბამისობითი ტიპის ტესტი

შესაბამისობითი ტიპის შეკითხვები სტუდენტისაგან მოცემული შეკითხვების მოცემულ პასუხებთან დაკავშირებას მოითხოვს.

ჭეშმარიტი/მცდარი ტიპის ტესტი

ჭეშმარიტი/მცდარი ტიპის შეკითხვა, ასევე, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპის შეკითხვაა. ასეთი ტესტური დავალების ფორმირება საკმაოდ მარტივია და შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ორი სავარაუდო პასუხი - ჭეშმარიტი ან მცდარი.

ღია ტიპის ტესტი

ღია ტიპის შეკითხვების პასუხს შედარებით დიდი მოცულობის ტექსტი წარმოადგენს. ასეთ შეკითხვაზე პასუხის შეფასება არ ხდება კომპიუტერის მიერ, მას მასწავლებელი თვითონ, აფასებს.

ტესტის შეფასების ზოგადი კრიტერიუმი:

მაგალითად: პედაგოგი ტექსტში სწორ პასუხს ანიჭებს ქულას, ნამუშევარი ფასდება თითოეულ ტესტზე სწორად გაცემული პასუხების ქულათა ჯამით.

ეს ე

ესე (ფრანგ. essai; ინგლ. essay, ცდა, ნარკვევი; ლათ. exigi, ვწონი) სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების (ანალიზი, სინთეზი, ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარი) ეფექტური მეთოდია. მისი გამოყენება სწავლებაში ხელს უწყობს სტუდენტების მიერ აზრის მკაფიოდ და გამართულად, ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბების, ეკონომიური ტერმინოლოგიით მეტყველების ჩვევების განვითარებას, ასევე ესე აჩვენებს სტუდენტებს მაგალითების, ციტატების გამოყენებას. ესე გულისხმობს ავტორის მიერ განსახილველი თემის შესახებ საკუთარი აზრის, პირადი სუბიექტური შეფასების დაფიქსირებას. ის იძლევა მასალის არასტანდარტული, შემოქმედებითი და ორიგინალური გზით გაშუქების საშუალებას. შეფასების სხვა მეთოდებისგან განსხვავებით, ესე მიზანია სტუდენტების შემეცნებითი საქმიანობის ნაყოფიერი და შემოქმედებითი ნაწილის დიაგნოსტიკა, რაც გულისხმობს ინფორმაციის ანალიზის, მისი ინტერპრეტაციის, არგუმენტების აგების, ფაქტების, მიდგომებისა და ალტერნატივების შედარების, დასკვნების ფორმულირების უნარების შეფასებას.

ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ამ მეთოდის ოთხი ტიპი:

1. დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობა ლექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრულ თემაზე / ფასდება ქულით/;
2. წერითი დავალება შესწავლილი საგანმანათლებლო მასალის ირგვლივ, /ფასდება ქულით/;
3. დროის საკმაოდ მოკლე მონაკვეთში შესრულებული თავისუფალი წერა ახალი მასალის უკეთ გაღრმავებისა და დამუშავებისათვის /უკუკავშირი/;
4. დროის მოკლე მონაკვეთში შესრულებული თავისუფალი თემა ლექციის შეჯამების და თემაზე ჩამოყალიბებული აზრებისა და დასკვნების დაფიქსირების მიზნით მაგალითად, სტუდენტებმა უნდა დაწერონ რა გაიგეს ახალი მოცემულ თემაზე და დასვან ერთი კითხვა, რომელზეც მათ არ მიუღიათ პასუხი ლექციაზე / უკუკავშირი/.

ესე შეფასების კრიტერიუმები შეიძლება იყოს:	მაქსიმალური ქულა
1. საკითხის/პრობლემის სიღრმისეული განხილვა	შესაბამისი ქულა
2. აზრის გადმოცემის სიზუსტე, სიცხადე, ლაკონურობა	შესაბამისი ქულა
3. ლოგიკურად განვითარებადი არგუმენტაცია	შესაბამისი ქულა
4. ინდივიდუალური მიდგომების დემონსტრირება	შესაბამისი ქულა
5. ენობრივი ნორმების აკურატულად დაცვა	შესაბამისი ქულა

ქეისი

მეთოდი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია პრობლემის გადაჭრამდე გადადგმული ნაბიჯების ანალიზი და შეფასება. ამ მეთოდით მუშაობის დროს სტუდენტები აკეთებენ თანმიმდევრულ ჩანაწერებს პრობლემის გადასაჭრელად ჩატარებული სამუშაოს შესახებ. ეს მეთოდი ორიენტირებულია უფრო პროცესზე და არა შედეგზე. ამ მეთოდს პრობლემის გადაჭრის პროცესის შეფასება შეიძლება ვუწოდოთ. იმისთვის, რომ პრობლემის გადაჭრის პროცესი უფრო ნათელი გახდეს, გავიხსენოთ, თუ რა არის პრობლემა და ჩამოვთვალოთ პრობლემის გადაჭრის შესაძლო ეტაპები, რომლებიც, რა თქმა უნდა, საგნისა და პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება განსხვავებული იყოს.

პრობლემად ითვლება ისეთი სიტუაცია, რთული საკითხი, ამოცანა, რომელიც საჭიროებს შესწავლას და გადაჭრას. პრობლემის გადაჭრა გულისხმობს გარკვეული პრობლემის ამოსახსნელი

პირობების, ხერხების ან დამხმარე საშუალებების მოფიქრებას კრიტიკული და შემოქმედებითი გზით. პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს რთულ სააზროვნო უნარ-ჩვევას, რომელიც ეფუძნება ცოდნასა და ლოგიკურ აზროვნებას.

პრობლემების გადასაჭრელად სტუდენტების მიერ გადადგმული ნაბიჯების აღწერას, ანუ პროცესის შეფასების მეთოდს პედაგოგისათვის სამი მიზანი აქვს:

1. შეაფასოს, თუ როგორ გადაჭრიან სტუდენტები პრობლემას;
2. განსაზღვროს, თუ რამდენად კარგად ესმით და აღწერენ სტუდენტები პრობლემის გადაჭრის პროცესს;
3. შეისწავლოს სტუდენტების აზროვნების პროცესი და განიხილოს მათთან ერთად პრობლემის გადაჭრის წარმატებული და წარუმატებელი გზები.

მეთოდი საშუალებას აძლევს პედაგოგს, გაანალიზოს სტუდენტთა ჩანაწერები. ჩანაწერების ანალიზის შედეგად მას შეუძლია დაადგინოს პრობლემის გადაჭრის როგორი უნარ-ჩვევები აქვს თითოეულ სტუდენტს; მისცეს სტუდენტს დროული და მნიშვნელოვანი რჩევები, რომელთა დახმარებითაც ის უკეთ გაიგებს საკუთარი შეცდომების მიზეზს და ისწავლის პრობლემის გადაჭრის პროცესის კონტროლს.

პრობლემის გადაჭრის ეფექტიანი პროცედურების ცოდნა და გამოყენება მნიშვნელოვანია ნებისმიერი საგნის შესწავლისთვის. პედაგოგის მიერ პრობლემა ისე უნდა იქნას დასმული, რომ სტუდენტებს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების საშუალება მისცეს.

ქეისის შეფასების კრიტერიუმები შეიძლება იყოს:	მაქსიმალური ქულა
1. ქეისის ტექსტისა და მასში დასმული ამოცანის/პრობლემის გაგების, გააზრების უნარების დემონსტრირება	შესაბამისი ქულა
2. მასში დასმული ამოცანის/პრობლემის გადაწყვეტის უნარების დემონსტრირება	შესაბამისი ქულა
3. გავლილი თეორიული მასალის ცოდნის დემონსტრირება	შესაბამისი ქულა
4. გუნდური მუშაობისა და ერთობლივი მიდგომების დემონსტრირება (თუ ქეისი გუნდურია)	შესაბამისი ქულა
5. წერითი კომუნიკაციის უნარის დემონსტრირება (სისწორე/სიზუსტე, აკურატულობა, მკაფიოობა, ლოგიკურობა)	შესაბამისი ქულა
6. რელევანტურ წყაროებზე აპელირება	შესაბამისი ქულა

პ რ ე ზ ე ნ ტ ა ც ი ა

პრეზენტაცია ეფექტური მეთოდია როგორც ცოდნა/გაცნობიერების, ისე ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და კომუნიკაციის უნარის შესაფასებლად. პრეზენტაციის ჩატარება რამდენიმე საფეხურს მოიცავს:

1. პრეზენტაციის შინაარსი: სტუდენტი ნებისმიერ პრეზენტაციას იწყებს საკუთარი თავის წარდგენით და აცნობს აუდიტორიას პრეზენტაციის გეგმას (სასურველია ის სარჩევის სტილში მომზადდეს, იმის საჩვენებლად, თუ მოხსენების რა ნაწილზე იმყოფება ის მოცემულ მომენტში).
2. ძირითადი თეზისები: პრეზენტაციიდან სტუდენტი გამოყოფს იმ თეზისებს, რომლებიც მისი აზრით, უნდა დაამახსოვრდეს მსმენელს. სასურველია სტუდენტმა მთელი პრეზენტაციის განმავლობაში რამდენჯერმე გაიმეოროს მთავარი იდეები იმისათვის, რომ მსმენელმა შეძლოს მნიშვნელოვანი ასპექტების აღქმა.
3. სლაიდ-შოუ: სლაიდები გამოიყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ილუსტრაციისათვის. ხშირად ზოგი მომხსენებელი პრეზენტაციას იწყებს სლაიდების ჩვენებით და ამატებს რამდენიმე სიტყვას მათ განსამარტად. ასეთი მიდგომა განწირულია წარუმატებლობისათვის. სლაიდები ატარებენ დამხმარე ელემენტის ხასიათს, ვიზუალურ ფუნქციას. საინტერესო პრეზენტაცია პირველ რიგში, სტუდენტის საინტერესო მოხსენება, ქესტიკულაცია და ინტონაციაა. აუცილებელია მხედველობითი კონტაქტი აუდიტორასთან, ისე რომ ერთი მსმენელიდან სტუდენტი გადაერთოს მეორეზე, ყველას მოუყვეს თითო აზრად ან თანმიმდევრობით შეავლოს თვალი მთელს აუდიტორიას. რაც შეეხება თავად სლაიდებს (ადამიანი ინფორმაციის 80%-ს ღებულობს მხედველობის საშუალებით), ისინი უნდა იყვნენ ლამაზად გაფორმებული, შეიცავდეს სურათებს, დიაგრამებს და სხვა. სასურველია სტუდენტმა გამოიყენოს გრადიენტულ ფონი და საშუალო ზომის შრიფტი. სლაიდის გადატვირთვა ცხრილებითა და მრავალეტაპიანი სიებით- არ არის მიზანშეწონილი.
4. პრეზენტაციის დინამიკა და ვერბალური კომუნიკაცია: სტუდენტი არ უნდა აჩქარდეს, ისევე როგორც არ უნდა შეანელოს პრეზენტაციის ტემპი. მან უნდა ისაუბროს გასაგებად, თანაბარი ტონით, ყურადღება მიაქციოს ინტონაციას, მსმენელის ყურადღება გადაიტანოს მნიშვნელოვან საკითხებზე. მნიშვნელოვანი ფრაზების ბოლოს სასურველია პაუზის გაკეთება.

ზოგადი რეკომენდაცია : 10 სლაიდი 20 წუთის განმავლობაში, შრიფტის ზომა-24, სათაურები 30

პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მაგალითად:	მაქსიმალური ქულა
1. წარმოდგენილი თემის საფუძვლიანი ცოდნა	ქულა
2. პრეზენტაბელობა	ქულა
3. აუდიტორიასთან კომუნიკაციის დემონსტრირება, ენობრივი ნორმების აკურატული დაცვა, კორექტულობა	ქულა
4. გუნდური მუშაობის უნარის დემონსტრირება (თუ პრეზენტაცია გუნდურია)	ქულა
5. IT ფლობის დემონსტრირება	ქულა
6. დისკუსიისა და კითხვებზე დამაჯერებელი პასუხების გაცემის უნარის დემონსტრირება	ქულა
7. დროის მენეჯმენტის უნარის დემონსტრირება	ქულა
8. რელევანტური ბეჭდვითი და ელქტრონული რესურსების გამოყენება	ქულა

რ ე ფ ე რ ა ტ ი

(ლათ: refero ვაუწყებ, მოვახსენებ)

რეფერატის, როგორც შეფასების მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია, როგორც ბაკალავრიატში, ისე მაგისტრატურაში. რეფერატის არსი რამდენიმენაირად არის განმარტებული, მაგ:

- მეცნიერული ნაშრომის, მოკლე წერილობით ან ზეპირ გადმოცემა;
- რაიმე საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურისა და სხვა წყაროების მიმოხილვა ;
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელითაც უნდა გამოვლინდეს აპლიკანტის კვლევის ინტერესის სფერო, მისი აკადემიური დონე დარგობრივი სფეროს ფარგლებში და მეცნიერული კვლევის უნარი.

განიხილავენ რეფერატის შემდეგ ტიპებს:

ა. პროდუქტიული რეფერატი ანუ რეფერირების წყაროს შემოქმედებითი და/ან კრიტიკული გააზრება. მისი ფორმებია:

- რეფერატი-მოხსენება;
- რეფერატი -მიმოხილვა.

ბ. რეპროდუქტიული რეფერატი ანუ რეფერირების წყაროს პირველადი ტექსტის შინაარსობრივი წარმოდგენა. მისი ფორმებია:

- რეფერატი-კონსპექტი;
- რეფერატი -რეზიუმე.

გ. ანალიტიკური რეფერატი, თავისი არსით პროდუქტიულ რეფერატებს მიეკუთვნება და წარმოადგენს აკადემიური წერის ჟანრს, რომლის მიზანია დებატის არსის წვდომა და წერილობითი ფორმით გადმოცემა, სტუდენტისათვის შერჩეული ორი ან სამი სტატიის საფუძველზე. თავის სტრუქტურით ანალიტიკური რეფერატი ძლიერ წააგავს კრიტიკას, იმ განსხვავებით, რომ თუ კრიტიკის წერისას სტუდენტი ერთ სტატიას განიხილავს, აქ უკვე ორ, ზოგჯერ კი სამ სტატიასთანაც აქვს საქმე. როგორც წესი, ეს არის ორი ან სამი სხვადასხვა ავტორის სტატია გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით და მათ ამ საკითხის მიმართ განსხვავებული პოზიცია უკავიათ. სტუდენტი ახდენს მოცემული სტატიების შედარებით ანალიზს და გამოხატავს საკუთარ პოზიციას ავტორების მიერ განხილული საკითხის მიმართ. მაგრამ უმთავრესი განსხვავება ანალიტიკურ რეფერატსა და კრიტიკას შორის მაინც ისაა, რომ თუ ეს უკანასკნელი იზოლირებულად იწერება ანუ სტუდენტი მხოლოდ ერთი სტატიის ანალიზითა და შეფასებით შემოიფარგლება (თუმცა კი მისი პოზიციის განმტკიცებისათვის სხვა ავტორთა შეხედულების დამოწმებას ახდენს), ანალიტიკური რეფერატის შემთხვევაში ის მოცემულ სტატიებს არა იზოლირებულად, არამედ შესაბამისი დისციპლინის თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ჭრილში განიხილავს, ანუ უნივერსალიზაციას თუ კონტექსტუალიზაციას ახდენს. შესაბამისად, ანალიტიკური რეფერატის სტრუქტურა შემდეგი სახისაა:

- შესავალი: ავტორთა პოზიციების მოკლე შეჯამება;
- კონტექსტუალიზაცია.
- ძირითადი ნაწილი: (I. წარმოდგენილ სტატიებში განხილული ერთ-ერთი ძირითადი საკითხი; ძალიან მოკლედ თითოეული ავტორის არგუმენტი მასთან დაკავშირებით; სტუდენტის მიერ ავტორთა მოსაზრებების შეფასება და საკუთარი პოზიციის წარმოდგენა. II. წარმოდგენილ სტატიებში განხილული მეორე ძირითადი საკითხი; ისევ მოკლედ თითოეული ავტორის არგუმენტი მასთან დაკავშირებით, რასაც სტუდენტის შეფასება მოსდევს. III. შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა - ავტორთა პოზიციების ანალიზი სტუდენტის კომენტარებით და ა.შ.)
- დასკვნა: საკუთარი შეფასებების შეჯამება და საბოლოო რეფლექსია.

პედაგოგიკაში რეფერატი ხშირად გამოიყენება, როგორც კონკრეტული დისციპლინის ცოდნის სტრუქტურისა და ანგარიშების მეთოდი. რეფერატების, როგორც შეფასების მეთოდის გამოყენებას თან ახლავს პლაგიატის პრობლემა, რაც ინტერნეტის წყალობით დიდ სირთულეს არ

წარმოადგენს. გთუნში მოქმედებს წესი პლაგიატის შესახებ და ლექტორმა არ უნდა დაუშვას პლაგიატის არც ერთი ფორმის შეფასება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მითითებულ წყაროებს. გასათვალისწინებელია, რომ გთუნი ჯერ-ჯერობით არ ფლობს პლაგიატის გამოვლენის პროგრამას (მაგ. ამერიკული „Turnitin“, და სხვა), შესაბამისად მარტივი არ არის პლაგიატის გამოვლენა.

რეფერატის (წერთი) შეფასების შესაძლო კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა (მაგ.)
1. რეფერირების წყაროების ძირითადი საკითხების გადმოცემა	ქულა
2. არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნის უნარი	ქულა
3. ავტორთა/მოსაზრებათა არგუმენტების წარმოდგენა	ქულა
4. მასალის კრიტიკული ანალიზის უნარის დემონსტრირება	ქულა
5. რეფერატის გაფორმების სტანდარტების დაცვა	ქულა

ქვიზი

ქვიზი არის სწრაფი შეფასების მეთოდი, რომლის მეშვეობით დგინდება/იზომება სტუდენტის ცოდნა, შესაძლებლობები, უნარები. ქვიზი, ტესტთან შედარებით, კითხვების მცირე რაოდენობას შეიცავს, ზოგ შემთხვევაში იოლსაც. შესაბამისად მას სჭირდება ნაკლები დრო, რასაც განსაზღვრავს ლექტორი. ქვიზი შედგება ტესტების, თეორიული საკითხების, ალტერნატიული არჩევანის (სწორია/არასწორია), მოკლე პასუხის ტიპის შეკითხვების, სავარჯიშოების, ამოცანების, სიტუაციური ანალიზის და პრობლემების ანალიზისაგან. თითოეული დავალების შესაბამისი ქულა ლექტორის მიერ მითითებული იქნება ქვიზში.

ქვიზის შეფასების შესაძლო კრიტერიუმები მაგალითად:	მაქსიმალური ქულა
1. საკითხის/საკითხების საფუძვლიანი ცოდნის დემონსტრირება	შესაბამისი ქულა
2. პასუხების სისწორე, სიზუსტე, ლაკონურობა	შესაბამისი ქულა
3. მიცემული დროის (15/20 წუთი) რაციონალური მართვა	შესაბამისი ქულა

დისკუსია

დისკუსია როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არის საჯარო განხილვა ან ცოდნის, მსჯელობის, იდეების, აზრების, არგუმენტების თავისუფალი ვერბალური გაცვლა რაიმე პრობლემასთან, საკამათო საკითხთან დაკავშირებით. დისკუსიის დროს ხდება ურთიერთსაწინააღმდეგი აზრებისა და პოზიციების დაპირისპირება. დისკუსიის მეშვეობით ფასდება სტუდენტის ცოდნა, კომუნიკაციის უნარი, პრობლემის გადაწყვეტის უნარი, ლოგიკური და თანმიმდევრული აზროვნების უნარი. **დისკუსიის სახეები:**

დებატები - (ფრანგ. debats), რაიმე საკითხის საჯარო განხილვას, აზრთა გაცვლა- გამოცვლას; კამათსა და პაექრობას ნიშნავს. დებატების, როგორც კამათის ფორმალური მეთოდის გამოყენების დროს მხარეები, განსაზღვრული წესების, სტრუქტურისა და შეზღუდვების გათვალისწინებით ეპაექრებიან ერთმანეთს. ასეთი დებატების დროს მხარეები, თავიანთი შეხედულებების წარმოდგენით ცდილობენ მესამე მხარეს (მაყურებლები, მსაჯი) დაუმტკიცონ საკუთარი პოზიციის სიძლიერე და წარმოაჩინონ მოწინააღმდეგის პოზიციის სისუსტეები. საგანმანათლებლო მიზნებისა და სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის არსებობს დებატების, როგორც თამაშის მრავალი

ფორმატი (კარლ პოპერის, საპარლამენტო, ლინკოლნ-დუგლასის და სხვა). ყოველი მათგანი ავითარებს არგუმენტირებული კამათის კულტურას, კრიტიკულ აზროვნებას, სასაუბრო დროის რაციონალურად გამოყენებისა და საჭირო მასალებისა თუ ინფორმაციის მოძიების უნარებს. **ჯგუფური დისკუსია** - რომლის დროსაც ჯგუფის წევრები ცვლიან აზრებს, იდეებს და წყვეტენ პრობლემას.

(*მიზანშეწონილობის გათვალისწინებით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დისკუსიის უფრო რთული ფორმები)

დისკუსიის შეფასების შესაძლო კრიტერიუმები მაგალითად:	მაქსიმალური ქულა
1. დისკუსიაში ეფექტიანი ჩართულობა	შესაბამისი ქულა
2. არგუმენტაციის უნარის დემონსტრირება	შესაბამისი ქულა
3. კრიტიკული მიდგომების დემონსტრირება	შესაბამისი ქულა
4. პრობლემის გადაწყვეტის უნარების დემონსტრირება	შესაბამისი ქულა
5. კორექტულობა	შესაბამისი ქულა

ზეპირი გამოკითხვა

ზეპირი გამოკითხვის დროს სტუდენტი ყველა ლექტორის მიერ წინასწარ ან სააუდიტორიო მეცადინეობის დროს მიცემულ საკითხს/მის ნაწილს. ეს მეთოდი განსაკუთრებით აქტიურად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართლისა და ჟურნალისტიკის სპეციალობებზე, სადაც მსჯელობის, არგუმენტირების, ინტერპრეტირების, მეტყველების კულტურის ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.

ზეპირი გამოკითხვის შესაძლო კრიტერიუმები, მაგალითად:	მაქსიმალური ქულა
ზედმიწევნით ფლობს დავალებით განსაზღვრულ ყველა საკითხს, აქვს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, შეუძლია ნებისმიერი საპროგრამო მასალის გადმოცემა ამომწურავად პროფესიულ ენაზე, პასუხობს საკითხთან დაკავშირებულ დამატებით შეკითხვებს;	შესაბამისი ქულა
ერკვევა საკითხებში, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეუძლია მასალის გადმოცემა;	შესაბამისი ქულა
ერკვევა საკითხების მნიშვნელოვან ნაწილში; შეუძლია მასალის გადმოცემა, ათვისებული აქვს მითითებული წყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი.	შესაბამისი ქულა
საკითხების ნახევარზე მეტის გადმოცემა შეუძლია დამაკმაყოფილებლად, ძირითადი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტად აქვს დამუშავებული.	შესაბამისი ქულა
საკითხებიდან არც ერთი არ არის განხილული დამაკმაყოფილებლად.	შესაბამისი ქულა

სასემინარო მოხსენება

სასემინარო მოხსენება შეფასების მეთოდია, რომლის დროსაც სტუდენტები წარადგენენ მოხსენებებს, რეფერატებს, რომლებიც მათ დამოუკიდებლად დაამუშავეს სწავლის ან კვლევის

შედეგების საფუძველზე. სასემინარო მოხსენებებით სტუდენტთა შეფასება სასურველია ძირითადად მაგისტრატურაში.

სასემინარო მოხსენების შეფასების შესაძლო კრიტერიუმებია, მაგალითად:	მაქსიმალური ქულა
საკითხის შესაბამისი, სანდო და ხარისხიანი წყაროებზე აპელირება	შესაბამისი ქულა
საკითხის დამუშავების სიღრმე	შესაბამისი ქულა
პრობლემის/პრობლემების გამოკვეთა და გადაჭრის გზების წარმოჩენა	შესაბამისი ქულა
ანალიზისა და დასკვნის უნარის დემონსტრირება	შესაბამისი ქულა

გთუნის აკადემიური პერსონალი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ირჩევს სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვან მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმებს და მათ შესაბამის ქულებს, რაც გაწერილი უნდა იყოს სილაბუსში.

ამასთან, აკადემიურმა პერსონალმა უნდა გაითვალისწინოს გაითვალისწინოს დიდაქტიკური კონცეფციის ძირითადი პოსტულატები; დაიცვას შეფასების სანდოობის, ვალიდურობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სისტემატურობის პრინციპი; შერჩეული მეთოდებით უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა.

ელექტრონული სწავლება

თანამედროვე და ეფექტური სწავლება წარმოდგენილია ისეთი მეთოდის გარეშე, როგორცაა ელექტრონული სწავლება. ელექტრონული სწავლება წარმოადგენს იმ სასწავლო აქტივობას, რომელიც ხორციელდება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. იგი გამოიყენება მხოლოდ ტრადიციული სწავლების პროცესში და მისი ხარისხის ამაღლების ხერხს.

ეს მეთოდი გათვალისწინებულია საქართველს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ, რომლის თანახმად:

ელექტრონული სწავლება – საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე კვალიფიკაციის მისაღებად ორგანიზებული, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას. ელექტრონული სწავლების განხორციელებისათვის აუცილებელია კურიკულუმის დაგეგმვის, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ადმინისტრირების შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება;

ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია საქართველოსა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უნივერსიტეტების პედაგოგების და პრაქტიკოსი სპეციალისტების მოსმენა, აგრეთვე პრაქტიკისა და თემატური სემინარების გავლა ძირითადი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად, რაც უდავოდ მიმზიდველია. შესაწავლილი და გამკვლეულია, რომ რომ ცოდნის მიღების ამ თანამედროვე და

კომფორტული მეთოდის გამოყენება ამაღლებს მსმენელების ლოიალობას სწავლების პროცესის მიმართ; ამასთან, ამცირებს ცოდნის მიღებაზე გაწეულ ხარჯებს და ამაღლებს სწავლების ხარისხს.

აღნიშნული ტექნოლოგიების მოხმარებით ჩვენ ვუზრუნველვყოფთ ეფექტურ სწავლებასა და სწავლების ხარისხის ამაღლებას ნებისმიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ელექტრონული სწავლება ძირითადად ეხება სწავლას და არა ტექნოლოგიას. მისი სტრატეგიული განვითარება ეფუძნება სტუდენტთა საჭიროებასა და მოთხოვნილებას, მათი საგანმანათლებლო გამოცდილების ხარისხს.

ელექტრონული სწავლების მეთოდის მთავარი მიზანია, სწავლის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობით გაზარდოს სტუდენტთა მოქნილობა, გააუმჯობესოს სწავლის/სწავლების ზოგადი ხარისხი, განუვითაროს მათ ის ცოდნა და უნარი, რომელიც საჭიროა 21-ე საუკუნეში, კერძოდ კი, უზრუნველყოს მათი განსწავლულობის ამაღლება ციფრულ წიგნიერებაში, რომლის ცოდნაც მოეთხოვებათ პროფესიულ თუ კარიერულ დონეზე. ელექტრონული სწავლების გამოყენებით სათანადოდ განისაზღვრება სწავლის/სწავლების მიზნები და სავარაუდო შედეგები. ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად აუცილებელია ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება, როგორებიცაა:

- პერსონალური კომპიუტერი;
- კომპიუტერული პროგრამა;
- მობილური და უკაბელო საშუალებები, როგორცაა მობილური ტელეფონი;
- ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები, როგორებიცაა ელექტრონული ფოსტა - „e-mail“;
- სასაუბრო შესაძლებლობები - „chat“ და ვიდეო კონფერენციები;
- ვირტუალური სასწავლო გარემო [VLEs]
- სასწავლო აქტივობების მართვის სისტემა ზემოთ მოყვანილი ტექნოლოგიების საშუალებით, **ელექტრონული სწავლების მეთოდი უზრუნველყოფს :**
- სტუდენტთა ჩართულობას სწავლის პროცესში;
- დამოუკიდებელი სასწავლო უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- სტუდენტთა ცოდნის განვითარებას;
- სწავლის გაგრძელების მოტივაციას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ამ მეთოდის გამოყენება გთუნის აძლევს ბიზნეს-კომპანიების, თანამშრომლების უწყვეტი განათლების და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, სემინარების და ლექციების ჩატარების შესაძლებლობას, ისე რომ არ მოწყდნენ ძირითად საქმიანობას. აგრეთვე, წარმოადგენს განსხვავებული ფოკუს ჯგუფებისა და ფართო საზოგადოებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო და საკონსულტაციო აქტივობების განხორციელების ეფექტიან, მოქნილ და ხელმისაწვდომ საშუალებას. ელექტრონული სწავლების განხორციელებისათვის გთუნი გეგმავს კურიკულუმების სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ადმინისტრირების შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების შემუშავებასა და დანერგვას;

ელექტრონული სწავლება ხორციელდება **ასინქრონული ან/და სინქრონული კომუნიკაციის** ფორმით. ასინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ კომუნიკაციას, ხოლო სინქრონული – როდესაც მათი კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება.


ელექტრონული სწავლების მეთოდები და ფორმები:

- ვიდეო - ლექციები;
- პუბლიკაციები და პრეზენტაციები;
- ონლაინ-ტესტები;

- ინტერაქტიური დავალებები და კითხვა-პასუხი;
- როლური ბიზნეს-თამაშები და სიმულაციები;
- პროექტები და მათი მართვა;
- ფორუმზე ურთიერთობა თანამსმენელებთან, პედაგოგებთან და მოწვეულ სტუმრებთან
- და სხვა

8. სტუდენტთა პერსონალური განვითარების თვითშეფასება

სტუდენტთა პერსონალური განვითარების შეფასებისათვის საინტერესო და ინფორმატიულია თვითშეფასების მეთოდი PDP (Personel Development Plan). ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს საკუთარი ცოდნის ობიექტურად შეფასების უნარს, თვითკრიტიკისა და სწავლის პროცესის მართვის უნარს. მეთოდი 3 ფაზისაგან შედგება:



თვითშეფასების I ფაზა (მსურს): ამ ფაზაში სტუდენტი არკვევს და აზუსტებს, თუ რას ელის ის საკუთარი თავისაგან;

თვითშეფასების II ფაზა (შემიძლია): ამ ფაზაში სტუდენტი ნათლად აყალიბებს, თუ რა შეუძლია მას და რა არ შეუძლია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა არის მისი კომპეტენციები და აკმაყოფილებენ თუ არა ისინი მოხონებს სტუდენტისადმი? ამ კითხვაზე პასუხები გამოააშკარავებს არსებულ და სასურველ კომპეტენციებს შორის სხვაობას. შესაბამისად იკვთება, თუ რა მიმართულებით უნდა გააქტიურდეს სტუდენტის ძალისხმევა;

თვითშეფასების III ფაზა (ვაკეთებ): ამ ფაზაში სტუდენტი ანალიზებს არსებულ და სასურველ სიტუაციას შორის სხვაობას. ეს სხვაობა იძლევა საშუალებას განისაზღვროს პრიორიტეტები და ჩამოყალიბდეს შემდგომი აქტივობების გეგმა.

პერსონალური განვითარებისათვის მხოლოდ გეგმის შემუშავება არ არის საკმარისი, აუცილებელია თითოეული ფაზის თითოეული ეტაპის მიღწევის შეფასება. შეფასებისათვის ყველაზე მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შეფასების სქემები.


9. უკუკავშირი

უკუკავშირი (ინგლ. Feeddback) ეს არის იმის შეტყობინება თუ როგორ გავიგეთ ან როგორ შევაფასეთ ნათქვამი ანდა რა ემოციები და აზრები აღძრა ნათქვამმა ჩვენში. უკუკავშირის სისტემა

ნათელყოფს, რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მუშაობს სასწავლო პროცესის ყოველი დეტალი.

სწავლა/სწავლება უკუკავშირის ერთ-ერთი ძირითადი ტიპია, ხოლო სასწავლო პროცესის წარმატებული წარმართვა უკუკავშირის ხარისხის მთავარი განმსაზღვრელი და მიზნის მიღწევის უმთავრესი საშუალებაა. უკუკავშირის გარეშე სწავლის პროცესის შედეგს ვერ გავზომავთ, ვერ შევაფასებთ. შედეგის გარეშე კი მთელი პროცესი აზრს დაკარგავს.

პროცესის მართვა გულისხმობს კონტროლს ზემოდან ქვემოთ და პირიქით:



აქედან გამომდინარე, უკუკავშირი კომუნიკაციის ის ფორმაა, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ მიმართებას ინფორმაციული პროცესის მსვლელობასა და სწავლის შედეგს შორის და ამ გზით ასრულებს თავად სწავლის პროცესის მართვის ფუნქციას.

როგორც ვიცით, კომუნიკაციის პროცესი გულისხმობს, სულ ცოტა, ორ ადამიანს შორის ინფორმაციის გაცვლას. იგი, ნებისმიერი ურთიერთობის მსგავსად, წრიული ხასიათისაა: ერთი ადამიანი განსაზღვრულ ინფორმაციას გადასცემს მეორეს, ეს უკანასკნელი უბრუნებს პასუხს, ხოლო ინფორმაციის გადამცემი პასუხის მიხედვით აგებს თავის მომდევნო კომუნიკაციას. ამდენად, კომუნიკაცია მართო იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რა ინფორმაცია გადასცა ერთმა მხარემ, არამედ იმაზეც, როგორ გაიგო და შეაფასა ეს გზავნილი მეორემ.

უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებით ზუსტად ვხვდებით სტუდენტის მდგომარეობას. ამ დროს ლექტორის როლი გულისხმობს მიღებული ინფორმაციის გადამუშავებას, გააზრებას და მის საფუძველზე სწავლების პროცესში კორექტივების შეტანას.

ინტერაქტიული სასწავლო პროცესის დროს ლექტორი და სტუდენტი ბუნებრივად არიან ჩართული კომუნიკაციის პროცესში. ამ დროს უკუკავშირისთვის საკმარისია, მასწავლებელმა იკითხოს, როგორ გაიგეს მის მიერ გაცემული ინფორმაცია. დასმულ შეკითხვებზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ინფორმაციას მივიღებთ: მხოლოდ ცოდნის თუ არამედ უნარ-ჩვევების შესახებაც.

უკუკავშირი შეიძლება განხორციელდეს როგორც "ოთხ თვალს შორის", ასევე ჯგუფშიც, მაგრამ ამ მეთოდის გამოყენებისას, უპირველეს ყოვლისა, საუბარია ჯგუფური მუშაობაზე, ჯგუფისადმი მიკუთვნებულობაზე და სამუშაო/სასწავლო ატმოსფეროზე ჯგუფში, რადგან უკუკავშირის სასწავლო ეფექტი და სარგებელი ჯგუფური შეხვედრების დროს ყველაზე დიდია. უკუკავშირის მეთოდი საკმაოდ წარმატებულად გამოიყენება უმაღლესი განათლების სისტემაში;

უკუკავშირს, ისევე, როგორც კონტროლს ორი ვექტორი აქვს: სტუდენტისკენ და ლექტორისკენ. უკუკავშირი, რომელიც მიმართულია **სტუდენტისკენ** ატარებს სასწავლო ხასიათს და ასრულებს კორექტირების, შეფასებისა და მოტივაციურ-მასტიმულირებელ ფუნქციას.

უკუკავშირი, რომელიც მიმართულია **ლექტორისკენ** ატარებს მმართველობით ხასიათს და ასრულებს დიაგნოსტიკურ, ანალიტიკურ, შეფასებით ფუნქციას და იძლევა კორექტირების საშუალებას.

გთუნი ამკვიდრებს ლექტორის უკუკავშირის ფორმას „**კონსტრუქციული გამოხმაურება**“ როდესაც ლექტორი აკეთებს ისეთ კომენტარს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის განვითარებას. კერძოდ, ლექტორი სტუდენტს ნათლად უხსნის, თუ სწავლის რა მეთოდების გამოყენებით არის

შესაძლებელი მოცემული მასალის გაგება და ათვისება; ცდილობს დაეხმაროს სტუდენტს იმის გაცნობიერებაში, თუ რა სირთულეებს ხვდება იგი სასწავლო მიზნის მიღწევისას და აწვდის ისეთ გამოხმაურებას, უსახავს გზებს, რომელიც მას ხელს უწყობს სირთულეების დაძლევაში, ლექტორი ახალისებს სტუდენტს ედიოს მისთვის მისაღები სწავლის სტრატეგია და მიაღწიოს წარმატებას.

მიღებულია უკუკავშირის ფორმა, როგორცაა „დადებითი გამოხმაურება“, როდესაც ლექტორი აფასებს სტუდენტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დადებითად (აქებს და აძლევს მის ნამუშევარს მაღალ შეფასებას);

გთუნი უარს ამბობს უკუკავშირის ისეთ ფორმებზე, როგორცაა „იგნორირება“ (ლექტორი არ აქცევს ყურადღებას სტუდენტს, მის მიერ შესრულებულ დავალებას თუ აქტივობას). დაუშვებელია აგრეთვე „უარყოფითი გამოხმაურება“, როდესაც ლექტორი სტუდენტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დაუსაბუთებლად უარყოფს ან შეურაცხმყოფელი ფორმით გამოხატავს, რომ მოსაზრება/დავალება არასწორია.

მეტად მნიშვნელოვანია, ლექტორმა მოახერხოს უკუკავშირის მეთოდის ეფექტიანი გამოყენება, რისთვისაც სასურველია გამოყენებულ იქნეს შემდეგი, აპრობირებული რეკომენდაციები.

რეკომენდაციები ლექტორთათვის (უკუკავშირის გამცემისთვის):

- აღწერეთ და არ შეაფასოთ: უკუკავშირის გამცემი მხოლოდ აღწერს თავის პირად აღქმებს, გრძნობებსა და დაკვირვებებს, გასცემს რეკომენდაციებს, როგორ შეიძლება, მისი აზრით, პრობლემის მოგვარება. ამასთან, იგი არ საყვედურობს, არ იწყებს მორალის კითხვას;
- თავდაპირველად გაეცით პოზიტიური უკუკავშირი, შემდეგ - კრიტიკა: ასეთი მიდგომა მიმღებს კეთილად განაწყობს, იზრდება ნდობა და კრიტიკის მიმღებლობა;
- განახორციელეთ კონკრეტული უკუკავშირი: უკუკავშირი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ფორმულირებული და გასაგები. ამის მისაღწევად საუკეთესო გზაა უკუკავშირის გამცემის მიერ პრაქტიკული მაგალითების მოყვანა საერთო სამუშაო გამოცდილებიდან. ზოგადი და აბსტრაქტული უკუკავშირი არაფრის მომცემია;
- ისაუბრეთ მხოლოდ საკუთარი პოზიციიდან: უკუკავშირის გაცემისას აუცილებელია, გამოვიყენოთ პირველი პირი, მაგ. "მე მიაჩნია..." და არა "მიაჩნიათ", "მიიჩნევენ";
- ურჩიეთ და არ აიბულოთ: ნუ იქნებით დირექტიული, ეცადეთ, გქონდეთ თანამშრომლობითი ტონი;
- სხვისი თვალთ შეხედეთ პრობლემას: უკუკავშირის გამცემმა უნდა იფიქროს არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნებზე, არამედ, პირველ რიგში, უკუკავშირის მიმღებისაზე. გაწონასწორებული უკუკავშირი ყველა მონაწილის მოთხოვნებს ითვალისწინებს;
- მოახდინეთ გამოსადეგი უკუკავშირი: აზრიანმა უკუკავშირმა გავლენა უნდა მოახდინოს უკუკავშირის მიმღებზე;
- განახორციელეთ უკუკავშირი რაც შეიძლება მალე: უკუკავშირი მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო მყისიერად გაიცემა იგი, მაგრამ გასათვალისწინებელია, მზად არის თუ არა იმ დროს ამისთვის მიმღები.

რეკომენდაციები სტუდენტებისათვის (უკუკავშირის მიმღებისთვის):

- იყავით აქტიური მსმენელი: ყურადღებით მოუსმინეთ უკუკავშირის გამცემს, თუ რაიმე ვერ გაიგეთ, დაუსვით კითხვები;

- არ დაიწყეთ დაცვა და დაპირისპირება: არ დაიწყეთ საკუთარი პოზიციის არგუმენტირება და დაცვა ისე, რომ ამან კონფლიქტამდე მიგიყვანოთ;
- იფიქრეთ იმაზე, უკუკავშირის დროს რომელი რჩევაა თქვენთვის სასარგებლო;
- დაუბრუნეთ უკუკავშირი უკუკავშირის გამცემს, ეს შეიძლება მოხდეს მოგვიანებით, არაფორმალური საუბრის დროს. არ დაგავიწყდეთ, უთხრათ უკუკავშირის გამცემს, რა მოგვით მისმა რჩევებმა, რომელი იყო განსაკუთრებით სასარგებლო, რაში არ დაეთანხმეთ. ასეთი მიდგომით უკუკავშირი შეიძენს წრიულ ხასიათს.
- ამ რეკომენდაციების გათვალისწინება სწავლება-სწავლის ანუ კომუნიკაციის პროცესში ეფექტიანი უკუკავშირის დამყარების წინაპირობაა.

რეზიუმე

განათლებლასა და სწავლებასთან ერთად დიდაქტიკა განიხილება როგორც აღზრდის (გონებრივი და ზნეობრივი) თეორიაც. აღზრდაში, უპირველესად ვგულისხმობთ სტუდენტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ხელშეწყობას, ღირებულებათა და ფასეულობათა იმ სისტემის მიხედვით, რომლითაც ხელმძღვანელობს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი და რაც აღნიშნულია დაწესებულების მისიაში, კერძოდ ეს არის ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და ღირებულებების პატივისცემა; ეროვნული ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა; დემოკრატიულობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა; პროფესიონალიზმი, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება; კეთილსინდისიერება; ანგარიშვალდებულება.

გთუნთ თავის ვალდებულებად მიიჩნევს თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომების დამკვიდრებას, რათა ხელი შეუწყოს მათ მიერ სოციალური ნორმებისა და კულტურული ღირებულებების ეფექტიანად გათავისებებას პროფესორ-მასწავლებლთა პროფესიონალიზმის, ავტორიტეტისა და პირადი მაგალითის მეშვეობით.

ამდენად, გთუნთ-ს დიდაქტიკური კონცეფცია ეფუძნება რა სწავლების პროცესის არსის გააზრებას, წარმოადგენს მათგან მიზნულ დოკუმენტს, რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მიერ დასახული საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას და უზრუნველყოფს: ხარისხს, რომელიც სჭირდება სტუდენტს; განათლების პროცესის უწყვეტობას; განვითარებადი და განახლებადი ცოდნის დაგროვება-გადაცემას; კრეატიული პედაგოგიკის ყოველმხრივ ხელშეწყობასა და დამკვიდრებას; პიროვნების მოთხოვნებზე, მოტივაციაზე, საჭიროებებზე, თვითგამომყვანებასა და თვითრეალიზაციაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო საქმიანობას.

გამოყენებული წყაროები

1. A Delphi Study of Effective Practices for Developing Competency-Based Learning Models in Higher Education. Walden University. 2016. cholarworks.waldenu.edu/cgi/viewcontent.cgi?article;
2. Defining Competencies and Outlining Assessment Strategies for CompetencyBased Education Programs. https://www.pearsoned.com/.../584G245_CBE-Assessme;
3. Determinants of education quality: what makes students' perception different? Husain Salilul Akareem Queensland University of Technology, QUT Business School, Brisbane, Australia. Open Review of Educational Research. V.3 2016. Issue1;
4. Effective Teaching Methods in Higher Education: Requirements and Barriers. 2016 <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC5065908/>;
5. High Level Group on the Modernization of Higher Education. Report to the European Commission on New modes of learning and teaching in higher education. 2014 pdf

http://ec.europa.eu/dgs/education_culture/repository/education/library/reports/modernisation_universities_en.pdf;

6. Innovative Methods of Teaching Dr. Damodharan V. S. ACCA, AICWA and Mr. Rengarajan.V AICW., http://math.arizona.edu/~atp-mena/conference/proceedings/Damodharan_Innovative_Methods.pdf
7. Interactive teaching methods in contemporary higher education. Nadezhda O. Yakovleva a, *, Evgeny V. Yakovlev . www.sciencedirect.com 2014;
8. Modern Teacher: Skills and Methods to Improve the Educational Process December 12, 2016 Essential Skills and Methods - Noplag Blog <http://blog.noplag.com/modern-teaching-skills-and-methods/>;
9. Mihael Gabel, Veronika Kupriynova and ot. E-Learning in European Higher Education Institutions. Results of Survey . 2013 http://www.eua.be/Libraries/publication/e-learning_survey
10. New Methods for focusing on Students' Learning Process and Reflection in Higher Education.2002 <https://pdfs.semanticscholar.org/.../8fbaa9d8a8d4d0e278..>
11. Teacher's opinion on the use of interactive methods/techniques in lessons. Gabriela-Paula PetruĜa a * Univerity of Piteúti, Faculty of Science of Education, Piteúti, Romania. 5th International Conference Edu-World 2012 - Education Facing Contemporary World Issues. 2014 pdf. www.sciencedirect.com;
12. The pass to quality teaching in Higher Education . By Fabrice Henard and Soleine Leprince-Ringuet. <http://www1.oecd.org/education/imhe/44150246.pdf>;

